# აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია

განათლების, კვლევის, ადმინისტრირების ხარისხის უზრუნველყოფა უნივერსიტეტის ყოველდღიური საქმიანობა და, ამავდროულად, უნივერსიტეტში მოღვაწე ყველა პირის პასუხისმგებლობაა. ხარისხის კულტურის განვითარება აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პრიორიტეტია. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობა ეფუძნება ხარისხის შიდა უზრუნველყოფის პროცესის განვითარებას თითოეული ფაკულტეტის თავისებურებების გათვალისწინებითა და მისი ავტონომიურობის დაცვით, რომელიც გულისხმობს დამოუკიდებლობას შეთანხმებულ ფარგლებში.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი მიზანდასახულია, რათა უზრუნველყოს საუკეთესო ხარისხის სწავლება, კვლევა და მომსახურება, რომელიც ორიენტირებულია ყველა დაინტერესებული მხარის მოლოდინების დაკმაყოფილებაზე, ითვალისწინებს საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის მართვის საერთაშორისო პრაქტიკას (IQM-ის სახელმძღვანელო „ხარისხის შიდა მართვა კომპეტენციებზე დაფუძნებულ განათლებაში“), ეყრდნობა საქართველოში მოქმედ ნორმატიულ და მარეგულირებელ მოთხოვნებს, აგრეთვე უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებსა და სახელმძღვანელო პრინციპებს (ESG).

მაღალი ხარისხის მისაღწევად უნივერსიტეტი ეყრდნობა ხარისხის მართვის პროცედურულ მიდგომებს. თანამშრომელთა და ყველა დაინტერესებული მხარის მაღალი ჩართულობით მუდმივად აუმჯობესებს და ავითარებს პროცესებსა და პროცედურებს, პერიოდულად მიმოიხილავს ხარისხის სისტემის ეფექტიანობას და უზრუნველყოფს ხარისხის კულტურის მდგრად განვითარებას.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მიზნებია:

- უნივერსიტეტის მისიისა და სტრატეგიული მიზნების ეფექტიანი განხორციელების უზრუნველყოფა;
- უნივერსიტეტის საქმიანობის ფარგლებში სასურველი დონის ხარისხის უზრუნველყოფა, რაც განსაზღვრულია უნივერსიტეტის შიდა სტანდარტებითა და კრიტერიუმებით;
- უნივერსიტეტის საქმიანობის განათლების სფეროში მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის დებულებებისა და სხვა ნორმატიული დოკუმენტებისა და სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა, რათა მიღწეული იქნეს ინსტიტუციური ავტორიზაციისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის უწყვეტობა;
- უნივერსიტეტის საქმიანობის შედეგების რეგიონულ და ეროვნულ დონეზე აღიარება და საერთაშორისო დონეზე ცნობადობის ამაღლება;
- ყველა პროცესის ინტერნაციონალიზაციისა და ყველა დაინტერესებულ მხარესთან ორმხრივად მომგებიანი ურთიერთობის ჩამოყალიბების ხელშეწყობა.

მუდმივი სრულყოფისა და თვითგანვითარებისათვის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ცდილობს, ეფექტიანად გამოიყენოს ინსტიტუციური ავტონომია და აკადემიური თავისუფლება, რათა სათანადო დონეზე უზრუნველყოს საუნივერსიტეტო ხარისხის სისტემის დანერგვა და უწყვეტი განვითარება. ამ მიზნებისათვის აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ოპერირებს შიდა და გარე შეფასების ინსტრუმენტებით და ფართოდ იყენებს ციკლურ პროცესს, რომელიც მოიცავს ოთხ ძირითად ურთიერთდაკავშირებულ ელემენტს: დაგეგმვა, განხორციელება, შეფასება და გაუმჯობესება (PDCA ციკლი).

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხარისხის სისტემა შედგება სხვადასხვაგვარი პოლიტიკისაგან, პროცედურებისა და ინსტრუქციებისგან/წესებისგან/გზამკვლევებისგან, რომლებზე დაყრდნობითაც წარიმართება უნივერსიტეტის საქმიანობა.

---

*პოლიტიკა წარმოადგენს აკადემიური, სამეცნიერო და მმართველობით სფეროში ხარისხის უზრუნველსაყოფად განსახორციელებელი საქმიანობის ზოგადი მიზნების, პრინციპებისა და ნორმების ერთობლიობას;*
*პროცედურა წარმოადგენს პოლიტიკით განსაზღვრული მიზნების მიღწევისათვის აუცილებელ საქმიანობებს, ამ საქმიანობაზე პასუხისმგებელ სუბიექტებს, საქმიანობის განხორციელების ვადებისა და მათი წარმართვის ლოგიკური ჯაჭვის აღმწერ დოკუმენტს;*
*ინსტრუქცია/წესი/გზამკვლევი წარმოადგენს მმათველობითი ტიპის დოკუმენტს, რომელიც აღწერს სახელმძღვანელო მითითებებს, რომლებიც უნდა დაიცვან საქმიანობის დროს.*

---

**ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეფუძნება**

**სამ ძირითად პოლიტიკას:**

1. საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა - EP-QA;
2. კვლევის განვითარების პოლიტიკა - RE-QA;
3. მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესების პოლიტიკა - ME-QA;

## 1. საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა (EP-QA)

საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის მიზანია, ხელი შეუწყოს მაღალი აკადემიური სტანდარტების მქონე, შედეგზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამების (აკადემიური და პროფესიული) შექმნასა და განვითარებას. მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვა და სტუდენტური სერვისების მიწოდება არის გზა სტუდენტების თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ძირითადი კომპეტენციების მქონე სპეციალისტებად ჩამოყალიბებისათვის, რაც ხელს შეეწყობს მათ შემდგომ დასაქმებას და სწრაფად ცვალებად გარემოში წარმატებულ ადაპტაციას.

საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა ეფუძნება საგანმანათლებლო საქმიანობით საუნივერსიტეტო საზოგადოების ინტერესების

დაკმაყოფილებას, საკვანძო გარე ფაქტორების გათვალისწინებას, საგანმანათლებლო პროგრამების გარე მოთხოვნებთან სრული თავსებადობის უზრუნველყოფას. იგი მიმართულია სწავლა-სწავლებისა და კვლევის პროცესების ინტეგრაციისა და ინტერნაციონალიზაციისაკენ.

| საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა- EP-QA | |
|---|---|
| <u>ხორციელდება სამი პროცედურის საშუალებით</u> | |
| EP-QA 1.1 | საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების, დაგეგმვისა და დამტკიცების პროცედურა; |
| EP-QA 1.2 | საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცედურა; |
| EP-QA 1.3 | მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცედურა. |

**საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების, დაგეგმვისა და დამტკიცების პროცედურა (EP-QA 1.1)** ემსახურება ახალი აკადემიური და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების, შემუშავებისა და დამტკიცების განხორციელების გზების, ძირითადი მოთხოვნებისა და პროცედურის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრას.

**საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცედურა (EP-QA 1.2)** აღწერს მოქმედი აკადემიური და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისათვის აუცილებელ აქტივობებს/ღონისძიებებს, ასევე შეფასებისათვის გამოყენებულ სხვადასხვა ინდიკატორსა და კრიტერიუმებს. პროცედურის განხორციელებით მიღებული შეფასება გამოიყენება მოქმედი პროგრამების განახლებისა და განვითარებისათვის, ასევე მუდმივად ცვალებად გარემოსთან მათი შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

**მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცედურა (EP-QA 1.3)** განსაზღვრავს მოქმედი აკადემიური და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისათვის აუცილებელ ღონისძიებებს, მათი განხორციელების გზებსა და პასუხისმგებელ პირებს, პროგრამაში ცვლილების შეტანისა და ამ ცვლილებების დამტკიცების სამუშაოებს.

## 2. კვლევის განვითარების პოლიტიკა - RE-QA

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ყველაზე დიდი და სწრაფად მზარდი რეგიონული უნივერსიტეტია საქართველოში, რომელიც გამოირჩევა აკადემიური პროგრამების მრავალფეროვნებით. უნივერსიტეტის განვითარების მიმდინარე ეტაპისათვის დამახასიათებელია სწავლების ხარისხობრივ მახასიათებლებზე კონცენტრირება და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ამოქმედება უმაღლესი განათლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზნისათვის - „ახალი სამეცნიერო პერსონალის მომზადება და გადამზადება, სამეცნიერო კვლევის პირობების შექმნა, უზრუნველყოფა და განვითარება“ (საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, მუხლი 3. უმაღლესი განათლების მიზნები).

აწსუ-ს, როგორც რეგიონულ უნივერსიტეტს, აკისრია მნიშვნელოვანი როლი და აქვს სპეციფიკური მიდგომები პროგრამების მრავალდარგოვნობის შენარჩუნებისა და შესაბამისი სამეცნიერო პოტენციალის გაუმჯობესებისათვის.

უნივერსიტეტში არსებული სამეცნიერო კვლევის ხარისხი განსაზღვრავს სწავლებისა და სამეცნიერო კვლევის კავშირს, საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ჩართულობას, ახალგაზრდა თაობის შესაძლებლობების გაძლიერებას.

აწსუ-ს კვლევის განვითარების პოლიტიკა ეფუძნება სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების ფაზებს.

უნივერსიტეტი, ფაკულტეტების კვლევითი პროფილის შესაბამისად, განსაზღვრავს პრიორიტეტულ კვლევით მიმართულებებს, რომელთა მიმართებაშიც უნივერსიტეტი კონკურენტუნარიანი იქნება ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე და შეძლებს საერთაშორისო პარტნიორების დაინტერესებას/მოზიდვას და თანამშრომლობას.

უნივერსიტეტი მიმართულია განახორციელოს ინოვაციური, ფუნდამენტალური და გამოყენებითი კვლევები, რომლებიც დაფუძნებულია ოთხმაგი სპირალის მოდელზე (Quadruple Helix model), სადაც სინერგია მიიღწევა ოთხი ძირითადი რგოლის ჩართულობით: 1. უნივერსიტეტი, 2. ინდუსტრია და ბიზნესი, 3. სახელმწიფო მმართველობა და საჯარო სექტორი, 4. სამოქალაქო საზოგადოება.

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება განკუთვნილია აწსუ-ს წიაღში მიმდინარე სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შემდეგი სახეების შეფასებისთვის: აკადემიური პერსონალის სასწავლო-სამეცნიერო დატვირთვით განსაზღვრული სამუშაოები; გარე სამეცნიერო ფონდებით დაფინანსებული კვლევა; შიდა დაფინანსებით მიმდინარე სამეცნიერო კვლევა; სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებით მიმდინარე კვლევები; სტუდენტთა სამეცნიერო მუშაობაში ჩართულობა.

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხარისხის შეფასების საფუძველზე ხორციელდება სამეცნიერო კვლევის ხარისხის გაუმჯობესების გრძელვადიანი ღონისძიებების დაგეგმვა, რაც საბოლოო ჯამში აუმჯობესებს სწავლების ხარისხს, ხელს უწყობს კვლევების ინტერნაციონალიზაციას, სამეცნიერო კვლევისა და მისი შედეგების ინტეგრირებას სწავლების პროცესში, პერსონალის პროფესიულ განვითარებას.

## 3. მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესების პოლიტიკა - ME-QA

უნივერსიტეტის მართვის სისტემა წარმოადგენს მრავალკომპონენტიან, დაინტერესებულ პირთა მოთხოვნების გათვალისწინებაზე ორიენტირებულ სტრუქტურას, რომლის ეფექტიანად მუშაობა ხელს უწყობს ხარისხიანი სასწავლო და სამეცნიერო პროცესების წარმართვას, უზრუნველყოფს უნივერსიტეტის მმართველობით და ფინანსურ სტაბილურობასა და მდგრად განვითარებას.

მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესების პოლიტიკის თვალსაზრისით უნივერსიტეტის მართვა ეყრდნობა პროცედურულ მიდომებს, დაფუძნებულს დაგეგმვის, საქმიანობის, შეფასებისა და გაუმჯობესების ციკლზე (PDCA ციკლი).

უნივერსიტეტის ეფექტური მართვა უზრუნველყოფს ხარისხიანი სწავლა-სწავლებისა და კვლევების პროცესების განხორციელებას, რაც გულისხმობს:

- უნივერსიტეტის მისიის შესასრულებლად სტრატეგიულ და ოპერაციულ დაგეგმვასა და განვითარებას;
- სასწავლო და კვლევით პროცესში ადამიანური და მატერიალური რესურსების ეფექტიან დაგეგმვასა და მართვას;
- უნივერსიტეტის მიერ სწავლა-სწავლების, კვლევითი და სტუდენტური სერვისების განსახორცილებელად ზუსტი და ეფექტიანი პროცედურების შემუშავებას, მათ მუდმივ შეფასებასა და გაუმჯობესებას.

მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესების პროცედურები სრულდება გარკვეული პერიოდულობით, მასში ჩართულია უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურული ერთეულისა და სტუდენტთა წარმომადგენლები.

| მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესების პოლიტიკა - ME-QA |
| --- |
| **ხორციელდება ორი პროცედურის საშუალებით** |
| ME-QA 3.1 თვითშეფასებისა და ანგარიშგების პროცედურა;<br>ME-QA 3.2 მართვის ეფექტიანობის შეფასების პროცედურა. |

**თვითშეფასებისა და ანგარიშგების პროცედურის** (ME-QA 3.1) საშუალებით უნივერსიტეტი უზრუნველყოფს განათლების ხარისხის ასამაღლებლად სისტემატური თვითშეფასებისა და ანგარიშგების დამკვიდრებას, რომელიც გამოიყენება სწავლა-სწავლების, კვლევისა და მართვის მუდმივი გაუმჯობესებისა და ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად. ამრიგად, თვითშეფასებისა და ანგარიშგების პროცედურა წარმოადგენს უნივერსალურ ინსტრუმენტს აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის სამივე პოლიტიკის განსახორციელებლად.

საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასების ანგარიში უნივერსიტეტის მიერ განიხილება, როგორც სწავლა/სწავლებისა და კვლევითი პროცესის ხარისხის განმავითარებელი ინსტრუმენტი. იგი უნდა ასახავდეს პროგრამის შესაბამისობას განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებთან. თვითშეფასების ანგარიშები, პროცესებში ფართო ჩართულობისა და შინაარსობრივი მხარის გაძლიერების მიზნით, უნდა ეყრდნობოდეს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიას (SWOT ანალიზი ან/და სხვა).

უნივერსიტეტის სწავლა/სწავლებისა და კვლევითი საქმიანობის, სერვისების ხელმისაწვდომობისა და ორგანიზაციული განვითარების დონის შესაფასებლად გამოიყენება წლიური ანგარიშგება.

თვითშეფასება და ანგარიშგება სრულდება გარკვეული პერიოდულობით, მასში ჩართულია უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურული ერთეულისა და სტუდენტთა წარმომადგენლები. მისი შემუშავების პროცესში უნდა შეგროვდეს სანდო და თანადროული ინფორმაცია.

**მართვის ეფექტიანობის შეფასების პროცედურის (ME-QA 3.2)** მიზანია უზრუნველყოს სწავლა/სწავლების, კვლევის და მართვის პროცესების პერიოდული შეფასება მუდმივი გაუმჯობესებისა და ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად; ამავდროულად უზრუნველყოს ინფორმაციის დროული მოძიება და რეკომენდაციების შეთავაზება სისტემის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.